დებულება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მქონე სპორტსმენების განსაზღვრის შესახებ

1. საქართველოს პირველობაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელნიც დაიკავებენ შესაბამის ადგილს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ჩატარებულ სალიცენზიო, ზონალურ შეჯიბრში.

კერძოდ:

• აღმოსავლეთ საქართველოში ჩასატარებელ ზონალური პირველობისთვის შესაბამის ადგილად განისაზღვროს 1/8 ფინალი, ხოლო დასავლეთ საქართველოში გასამართ შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენებითვის 1/4 ფინალი.

2. ყველა იმ სპორტსმენს, რომელიც ვერ დაიკავებს ზემოთ მითითებულ ადგილს, მიეცემა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე გამოსვლის კიდევ ერთი შანსი შემდეგი პრინციპის მიხედვით,

კერძოდ:

• მოხდება წაგებული სპორტსმენების დაჯგუფება ხელახლა და მათ შორის ორი საუკეთესო მოიპოვებს ეროვნულ ჩემპიონატზე გამოსვლის უფლებას. ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში ორის ნაცვლად გათვალისწინებული იქნეს ოთხი ადგილი.

3. ზემოაღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ სპორტსმენების მიმართ, ვინც ერთხელ მაინც დაიკავა მინიმუმ მესამე საპრიზო ადგილი ევროპის, მსოფლიოს ან ოლიმპიურ თამაშებზე უფროსებში პირად პირველობაში. ამ კატეგორიის სპორტსმენებს ეძლევათ უფლება პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა ეროვნულ ჩემპიონატში.

4. საჭიროების შემთხვევაში ძიუდოს ეროვნული ფედერაცია უფლებას იტოვებს გამონაკლისი დაუშვას იმ სპორტსმენების მიმართ, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრში ზონალური ჩემპიონატის პარალელურად და პირდაპირ დაუშვას ეროვნულ ჩემპიონატზე.